



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 8

27/03/2020

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“-ს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“-ს (ს/კ 424068298) წესდების ცვლილება და თანდართული წესდების დამტკიცება, დანართის შესაბამისად.
2. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. № 62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“ (შემდგომში - იურიდიული პირი) წარმოადგენს სამართლებრივ სუბიექტს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.
2. იურიდიული პირის სახელწოდება: „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“.
3. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის შემოსულობები ხმარდება მისი მიზნების განხორციელებას.
4. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2.
5. იურიდიული პირს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, არაკომერციული იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. იურიდიული პირის დამფუძნებელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“-ის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტი (მისამართი ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. № 18; საიდენტიფიკაციო კოდი: 224101317), რომელიც განსაზღვრავს იურიდიული პირის წესდებას, მიზნებსა და ამოცანებს.

მუხლი 3. იურიდიული პირის მიზნები და ფუნქციები

1. იურიდიული პირის მიზანია:
 - ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის, სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარებისა და შიდა ქსელების ტექნიკურად გამართული ფუნქციონირებისათვის ზრუნვა და ზედამხედველობა;
 - ბ) მოსახლეობისათვის ბუნებრივი სარწყავი არხებით და მექანიკური სატუმბი სადგურების საშუალებით სარწყავი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა;
 - გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნური ტბებისა და წყალსაცავების გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.
2. იურიდიული პირის ფუნქციებია:
 - ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე თვითმმართველობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სარწყავი სისტემის მართვა, მოვლა-პატრონობა, განვითარებისა და სრულყოფაზე ზრუნვა;
 - ბ) აღნიშნული მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობათა დაცვა;
 - გ) მექანიკურ საშუალებათა რემონტი;
 - დ) არხების გაწმენდა/შეკეთება და მილსადენების აღდგენა/მოწყობა;
 - ე) ელექტრომოწყობილობების აღდგენა, რემონტი და საჭიროებების შემთხვევაში ახლის მშენებლობა და სათანადო ნაწილებით მომარაგება;
 - ვ) მუნიციპალიტეტის იმ ტერიტორიაზე, სადაც უფლებამოსილებას არ ახორციელებს შესაბამისი პროვაიდერი, არსებული სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალის და შიდა ქსელის სისტემის მოვლა-შენახვა და ქსელის ტექნიკური დაზიანების შემთხვევაში მისი აღმოფხვრა, აღდგენა და სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
 - ზ) საზოგადოებრივ სარგებლობაში არსებული სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელის აღდგენა/რეაბილიტაცია და გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა;
 - თ) შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციითა და მათი ჩართულობით სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და რეზერვუარების სადებიზფექციო სამუშაოების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;

- ი) მომხმარებლის მიერ სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე უკანონოდ მიერთებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის განხორციელება და ასეთის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილების ფარგლებში, აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- კ) მომხმარებლის მიერ სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე უკანონო მიერთების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შესაბამისი სამსახურისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა;
- მ) საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ შენობა - ნაგებობების წყალმომარაგების უზრუნველყოფა და საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნურ ტბებსა და წყალსაცავებზე ზრუნვა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და სათევზაო-რეკრეაციული პირობების შექმნა;
- ო) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე, უპატრონო და მიკედლებული ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია, სტერილიზაცია.

მუხლი 4. იურიდიული პირის მართვა

1. იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.
2. დირექტორი ანგარიშვალდებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე და პერიოდულად (მოთხოვნისთანავე) წარუდგენს მას ანგარიშს, იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ.
3. დირექტორი:
 - ა) წარმოადგენს იურიდიულ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ორგანიზაციებსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში;
 - ბ) უზრუნველყოფს პროგრამისა და პროექტების შედგენას, რომლებსაც წარუდგენს მერს, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დასამტკიცებლად და ზრუნავს მათ განხორციელებაზე;
 - გ) ახორციელებს მინდობილი საწესდებო ქონების დაცვასა და განვითარებას;
 - დ) ადგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდს და დასამტკიცებლად წარუდგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს;
 - ე) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს იურიდიული პირის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;
 - ვ) დირექტორი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს;
 - ზ) დირექტორი ორგანიზაციის სახელით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საბანკო ურთიერთობებს, ხელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს;
 - თ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს დაწესებულების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
 - ი) დამფუძნებელთან შეთანხმებით, კანონით დადგენილი წესითა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს შესყიდვას, გეგმის საფუძველზე;
 - კ) დირექტორი, მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და დამფუძნებლის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის;

- ლ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები;
4. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას აკისრებს იურიდიული პირის თანამშრომელს.

მუხლი 5. დაფინანსება

1. იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
- ა) ადგილობრივი ბიუჯეტი;
 - ბ) ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
 - გ) გრანტები;
 - დ) შემოწირულობები ფიზიკური და იურიდიული პირებისგან;
 - ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 6. იურიდიული პირის საკუთრება და ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები.
2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად იურიდიული პირს გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. იურიდიული პირის კონტროლი

იურიდიული პირის კონტროლს ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი კონტროლისა და აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს დამფუძნებლის თანხმობას

1. იურიდიულ პირს შეუძლია, მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობით, განხორციელოს:
- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
 - ბ) სესხის აღება;
 - გ) თავდებობა;
 - დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება დირექტორის საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებს.

მუხლი 9. იურიდიული პირის ანგარიშვალდებულება

იურიდიული პირი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38 მუხლის შესაბამისად.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად ერთეულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება, საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
 - ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
 - გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.
7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წესდებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა დაიშვება დამფუძნებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.
2. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება/დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
3. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.
4. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:

ზაზა მელიქიძე